ცნობის ფურცელი

V წ. | ყოველ-დღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 3 აგვისტო 1900 წ. | № 1200

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

ტელეფონი № 372.

„მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)	(წელიწადი მეხუთე)
გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.	**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:	გაზეთის ფასი გაგზავნით:
1 წლით 6 თვით 3 თვით	1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით
10 მანეთი 6 მან. 4 მან	6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ
სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.	სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.	პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.	გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

„ცნობის ფურცლის“

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალი ორლოვი მიდის ხმიგანისაკენ; ხაილარში დასტოვა მან გარნიზონი. კიახტაში მოვიდნენ კალგანიდან სამი ამერიკელი და 9 შვედელი მისსიონერი.

ლორენცო-მარკეზი. ბურებმა თავი დაანებეს მახადოდორპს და ძალით აიღეს ვატერ-ვაალი. ლუი ბოტტას ბანაკში დელმანტუასთან ცეცხლმა იმსხვერპლა კარვების და ბარაკების დიდი ნაწილი.

რომი. გუშინ პანთეონში დაკრძალეს მეფე ჰუმბერტო.

მოსკოვი. გარდაიცვალა ვლადიმერ სერგეის ძე სოლოვიოვი.

ნიუ-იორკი. გარდაიცვალა ცნობილი მეჭადრაკე სტეინიცი.

რომი. 31 ივლისს, სალარიოს ხიდის ახლო, რომიდან რვა კილომეტრის მანძილზე, მოხდა მატარებლების დაჯახება. ერთ მატარებელზე იყო დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოოზის ძე მეუღლითურთ, რომლებიც სრულებით უვნებლად გადარჩნენ.

რადგანაც დიდმა ხალხმა მოიყარა თავი, გაუშვეს ორი მატარებელი რომისა და ფლორენციის გზაზე, მეორე მატარებელი 10 წუთით უფრო გვიან პირველზე. პირველი მატარებელი კასტელ-ჯუბილეუმთან გაჩერდა, რადგანაც ლოკომოტივს რაღაც გიუფუჭდა; მეორე მატარებელი დაეტაკა მას და საშინელი კატასტროფა მოხდა. მეფე და დედოფალი მოვიდნენ კატასტროფის ადგილზე დილის 3 საათზე და 20 წუთზე. დედოფალი თავისი დით დიდის მთავრინით მილიცა ნიკოლოოზის ასულით დაბრუნდა კვირინალში დილის 4 საათზე; მეფე და დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოოზის ძე დარჩნენ და განკარგულებას აძლევდნენ; ესენი დაბრუნდნენ კვირინალში დილის 6 საათზე. დახოცილთა რიცხვი 12-ია, დაჭრილთა—40. ამათი სახელები ჯერ არ იციან დანამდვილებით.

პარიზი. მინისტრთა სხდომაზე დელკასემ წაიკითხა საფრანგეთის კონსულის დეპეშა შანხაიდან, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ შანხაიში კვლავ დაიბადა შიში ქალაქში არეულობის დაწყების შესახებ. თუ საჭირო იქნება, საფრანგეთის სამუშაოებზე მიღებულ იქმნებიან ზომები.

ტაკუდან მოსულ 26 ივლისის დეპეშა იტყობინება, რომ იქ გადასწყვეტეს პეკინისაკენ გალაშქრება. მეორე დეპეშა ინდოეთ-ჩინეთის გუბერნატორისა იტყობინება, რომ უცხოელთა რაზმი ამ ჟამად 25 კილომეტრის სიშორეზეა პეკინიდან.

ბერლინი. გერმანიის გემი „გეფიონი“ 1-ლ ივლისიდან შანჰაიში იმყოფება გერმანიის ინტერესების დასაცველად; გემი „ილტისიც“ იქით მიდის, „შვალბე“ და „ზესადლერი“ აგრეთვე იქით წავლენ.

ტიანცზინი. იანცზუნთან ჩინელებმ ეპირათ მარტო რკინის გზის ლიანდაგი და ცოტაოდენ ბრძოლის შემდეგ დაიწიეს ხესიუსაკენ; იქითკენ პირდაპირ ტიაცზინიდან გაიქცა ჩინეთის უმთავრესი ჯარიც გენერალ მას წინამძღოლობით.

ლონდონი. ექიმების რჩევით, სოლსბერი წავიდა კოვეზების მთებში, სადაც დაჰყოფს ერთ თვეს; საქმეებს იქ აწარმოებს.

ტიანცზინი. როგორც პეკინიდან იტყობინებიან, 20 ივლისს დედოფალმა გაუგზავნა ელჩებს რამდენიმე დღის სურსათი, ლიპიხენმა დადგა ქალაქის კედლზე საელჩოების ახლო ორი ბატარეია და ორი დღის განმავლობაში ზარბაზნებიდან და თოფებიდან ესროდა.

ჰონკონგი, 30 ივლისს. 8000 კაცი „შავი დროშის“ მომხრეთა წავიდნენ პეკინში. ადმირალ ტინსუიტენს იუნანიდან ბრძანება მოუვიდა გაგზავნოს პეკინში 10,000 კაცი.

შანჰაი, 30 ივლისი. ვიჩუანის მეფის მოადგილეს მოუვიდა პეკინიდან ბრძანება აიძულოს ყველა უცხოელები, წავიდნენ კანტონის პროვინციიდან. ინგლისის კონსულს სკოტს მოუვიდა მაკდონალდიდან ბ შიფრით დაწერილი 24 ივლისს გამოგზავნილი, შემდეგის შინაარსის დეპეშა: „ჩვენი მდგომარეობა უკიდურესია. ათი დღის შემდეგ სურსათი დაგვეშრტება. ჩინელებმა წინადადება მოგვცეს წავიდეთ ტიანცზინში, მაგრამ ჩვენ არ დავეთანხმეთ“.

შანჰაი. 30 ივლისს, შაბათს, შუადღისას, შეერთებული ჯარები იყვნენ პეკინიდან 60 მილის მანძილზე.

ინგლისის მთავრობამ ასესხა ვუჩუნის მეფის მოადგილეს 75,000 გირვანქა სტერლინგი $4^1/_2{}^0/_0$-ად. ეს ფული საჭირო იყო ამ პროვინციის ჯარების ჯამაგირის გასასტუმრებლად.

ბერლინი. ბურების დელეგატები—ფიშერი, ვოლსი, ვოლმარანსი, დოკტორი ლეიდსი და სხვები მალე პეტერბურგში წავიდნენ.

სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

ამგვარად, მისსიონერთა*) მიმართ ზიზღმა და მძულვარებამ მაგრად გაიდგა ფესვები ჩინელების გულში. ამ განწყობილების შედეგი იყო ტიან-ძინში მყოფ მისსიონერთა გაჟლეტა; ამგვარი ამოწყვეტა მისსიონერთა მთელის ჯგუფისა შემდეგში ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა ღვთის სიტყვით მქადაგებელთა წინააღმდეგ აღშფოთება გახშირდა. კაცმა მართალი უნდა სთქვას—ხშირადე ამ ცილვების მიზეზი ჩინელი მეცნიერნი იყვნენ, რომელთაც ეშინოდათ არ დაეკარგათ გავლენა ჩინეთის ხალხში და ამ მიზეზისა გამო ხალხს აქეზებდა მისიონერთა დასახოცავად. ეს მეცნიერნი ერთობ დახელოვნებულად იქცეოდნენ. ისეთს დროს ამოარჩევდნენ ხოლმე მისსიონერთა წინააღმდეგი აზრების საქადა-

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1199.

გეშლად, როცა ხალხს რაიმე საზოგადო უბედურება ეწვეოდა (შიმშილობა, ჭირი, ომი და სხვ.), რადგან იცოდნენ, რომ ამ დროში გაჭირვებული ხალხი ადვილად დასაჯერებელია, იგი ადვილად და განუსჯელად მიიღებს ხოლმე ყოველგვარ ცრუ-მორწმუნოებას. რასაკვირველია, ევროპის სახელმწიფოები ყოველ ამისთანა დროს მოითხოვდნენ ხოლმე ჩინეთის მთავრობისაგან დამნაშავეთა დასჯას, მოხელეთა სამსახურიდგან დათხოვნას და დევნილთა ზარალის აღდგენას; ამგვარი მოთხოვნილება კიდევ უფრო აშწვავებდა ხალხის ზიზღს ქრისტიანეთა მიმართ. უწინ იმ ქრისტიანეთ, რომელნიც მისიონერთა როლს არ თამაშობდნენ, ჩინელები მოთმენით უყურებდნენ იმ მიზეზებისა გამო, რომელთა შესახებაც ზემოდ ვილაპარაკეთ და ამათ ის უნდა დავუმატოთ კიდევ, რომ არა მისიონერი ქრისტიანები სცხოვრობდნენ ვანკერძოებულს უბანში და ხალხთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ გარეშე საქმისა. თუ არა მისიონერი ქრისტიანე ჩინეთის სხვა მხარეებში წავიდოდა, მარტო ცნობის მოყვარეობას აღუძრავდა მშვიდობიან ხალხს, მეტს არაფერს—მისთვის სარწმუნოებრივი კითხვები არ არსებობდნენ და მაშ ჩინეთელ ხალხის ცრუ-მორწმუნოებასაც არ ეხებოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა ჩინელ ხალხს ჰქონდა საბუთი უცხოელ ვაჭრებით უკმაყოფილო ყოფილიყო. ადგილობრივ ნაწარმოებთა გატანამ ჩინეთიდან ის მოიტანა, რომ თვით ჩინეთში ეს დარგი ნაწარმოებისა გაძვირდა, ხოლო ევროპიელისა და ამერიკელის ნაწარმოების შემოტანამ დიდი კონკურენცია გაუწია ჩინეთელ სავაჭროს შემოტანამ და დასცა მისი ფასები, რამაც აუარებელი ხალხი დიდ გასაჭირსა და განსაცდელში ჩააგდო. ასეთივე შედეგი მოჰყვა ევროპიელთაგან სხვა და სხვა ტეხნიკურის საშუალებების შემოღებას,—რკინის გზას, ტელეგრაფს და სხვ.; მრავალი ხალხი დარჩა ულუკმა-პუროდ, შიმშილით სასიკვდილოდ განმზადებული. ამ მოვლენათა მიზეზით თანდათან ღვივდებოდა ჩინელთა გულში ის ნაპერწკალი მძულვარებისა, რომელიც დაითესა მათში იმ დღიდანვე, როცა პირველად გაეცვნენ „ზღვის იმიერ ეშმაკებს“.

უცხოელნი, თავისი მხრით, როდი სჯერდებოდნენ იმას, რომ განსაკუთრებულ უპირატესობაში იყვნენ ჩაყენებულნი. ხარბის თვალით უცქეროდნენ ჩინეთის სიმდიდრეს და ყოველივე ღონეს ხმარობდნენ ეს სიმდიდრე ხელში ჩაეგდოთ. ამ გვარ წადილს ევროპიელებისას, რაღა თქმა უნდა, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩინელებმა და ამ წინააღმდეგობას ხანდისხან სისხლის ღვრაც კი მოჰყოლია.

ასე მოხდა, მაგალითად, მაშინ, როცა ინგლისელებმა მოიწადინეს ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარეებში გაესაღებინათ ინდოეთის სავაჭრო. ამ დროში მოკლულ იქმნა ინგლისის საელჩოს აგენტი მაგრგარი, რომელიც 1875 წ. მოჰკლეს ავაზაკებმა ჩინეთის ვაჭრებისა და მოხელეთაგან წაქეზებულებმა. ასევე მოხდა 1891-ში, ამ დროში აჯანყდნენ ჩინელები და მრავალ მისსიონერთ მოუსპეს სიცოცხლე. ეს აჯანყება გამოიწვია ინგლისის სურვილმა მდინარე იანცზი-ცზიანაში გემების გამართვისამ.

ჩინეთისა და იაპონიის ომის შემდეგ ევროპიელებმა განსაკუთრებულის ენერგიით მოინდომეს ჩინეთის შუაგულში შესვლა. ჩინეთის სატახტო ქალაქს დაედვა მრავალი ევროპიელი, რომელთაც ჰსურდათ სხვა და სხვა ვაჭრობა დაეწყოთ და სხვა და სხვა ტეხნიკური საშუალებები შემოეღოთ ჩინეთში. ამ ვაჭბატონებს თან მოჰქონდათ მფარველობა მათი მთავრობისა, რომელთა ძალ დატანების გამო ჩინეთის მთავრობა დასთანხმდა სხვადასხვაგვარ კონცესსიებზე. ამას ის მოჰყვა, რომ მარტო ერთ წელიწადში—1898-ში და ცოტათი 1899 წელშიც შემდეგი მოვლენა მოხდა.

1898 წ. მაისში ქ. შაშში დაანგრია აჯანყებულმა ხალხმა უცხოელების ყველა სადგურები. 1898 წ. ივლისში მოხდა არეულობა ჩჯენ-ცძიანში და 1899-ში რამდენჯერმე თავს დაეცნენ რკინის გზის ინჟენრებს, მაგ. შან-სი-ში ხალხის გაბრაზება ეკონომიურის მიზეზებით იყო გამოწვეული, რადგან რკინის გზა, ტელეგრაფი და სხვ. ამგვარი დაწესებულებანი რამდენიმე მილიონ მუშას მშიერად სტოვებდა. გარდა ამისა, მრავალი ცრუ აზრიც ტრიალებდა ხალხში: ინჟენერებიო, ამბობდნენ, ჩინელ მკვიდრთა ქონს უსმენ ორთქლის მაშინებს, რომ დიდი ძალა ჰქონდესო და აგრეთვე ჩინელ ბავშვებს შპალების მაგიერად ხმარობენო.

ყველა ზემოხსენებულიდანა სჩანს, რომ მარტო მისსიონერები როდი არიან ჩინეთის აღელვებაში დანაშაულნი. ევროპის მიმართ უკმაყოფილებისათვის საკმაო საბუთი ჰქონდათ ჩინელებს მისსიონერთა გარეშე. მართალია, მისსიონერთა უტაქტო მოქმედებამ, მათმა აღვირ-ახსნილმა სურვილმა ქონებრივის სიმდიდრის შეძენისამ სახელი გაუტეხა მათ, როგორც სარწმუნოების მქადაგებელთ, არა ნაკლები ზარალი მიუცია მისსიონერებისათვის იმასაც, რომ მთავრობა თავისი ქვეყნის მისსიონერებს თოფითა და ზარბაზნით იცავდა, მაგრამ პირველად მისსიონერთ არ აღუძრავთ ჩინეთის ხალხში სიძულვილი. დღევანდელი აჯანყება კი შედეგია იმ უსამართლო ძალის ხმარებისა, რომელიც დაიწყო იაპონიამ 1894-ში და მას შემდეგ განაგრძო ევროპამ.

მისსიონერთა საქმე ჯერხანობით მეტად ძნელი გამოსარკვევია; ეს კი უნდა მივიღოთ სახეში, რომ თუ მისსიონერები მარტო თავისს საქმეს მოჰკიდებენ ხელს და მთავრობანიც თოფ-იარაღით არ ამოუდგებიან გვერდში მათ,—მაშინ მათი საქმე მშვიდობიან ბრძოლას გამოიწვევს ჩინეთისა და საქრისტიანო ერის სარწმუნოების შორის და არა ომს მაუზერის თოფებით აღჭურვილ ერთა შორის: ევროპა კი ჩინეთს უნდა მოეკიდოს დიდის ყურადღებით, არ შელახოს მათი წმინდა რწმენანი და უეცრივ არ მოინდომოს ჩინეთის საუკუნოებით შემუშავებულის ნივთიერის კულტურის დამხობა, არამედ მშვიდი ბრძოლა უნდა გაუმართოს ამ ძველ კულტურას.

∝ ლიპიხენი, რომელიც ეხლა პეკინში მძვინვარებს ევროპიელების წინააღმდეგ, მოქმედებს ეგრე უფრო პირადი შურისძიების გამო. 1895-ში იგი იყო შანდუნის გუბერნატორი. მის აქ ყოფნის დროს გერმანელებმა აიღეს კიო-ჩაო და ამათის თხოვნით ლიპიხენი გამოსცვალეს. შემდეგ იგი დანიშნეს სიჩუანის გუბერნატორად, მაგრამ გერმანელებმა აქაც არ დააყენეს იგი და მანამ არ მოისვენეს, სანამ ჩინეთის მთავრობას არ გამოაცემინეს განსაკუთრებული ბრძანება, რომლის ძალით ლიპიხენი ვერ მიიღებდა ვერც ერთ რიგიან თანამდებობას. ადვილად წარმოსადგენია, რა გრძნობით უყურებს ლიპიხენი ევროპიელებს, განსაკუთრებით გერმანელებს.

∝ შანხაიდან დეპეშით იტყობინებიან: ინგლისელებს ნება დართეს გადმოსვან ნაპირზე 4000 ჯარის-კაცი. ფრანგებმა მაშინვე გადასწყვიტეს თავის მხრივ გადმოიყვანონ ნაპირზე 1200 კაცი. კონსულები პროტესტს აცხადებენ ინგლისელ ჯარების ნაპირზე გადმოსვლის წინააღმდეგ.

∝ ვაშინგტონიდან დეპეშით იტყობინებიან: გენერალ შაფფემ მისწერა ინგლისს მთავრობას დეპეშა, რომელიც არ გამოუქვეყნებიათ და რომელშიაც მეტად უსიამოვნო ამბებია ზოგიერთ სახელმწიფოების მოქმედების შესახებ. გენერალი მიდის პეკინისაკენ ინგლისელ, ამერიკელ და იაპონელ ჯარებით; სხვა სახელმწიფოები არ იღებენ მონაწილეობას ამ მოძრაობაში; მიზეზებს მალავენ. გენერალი ამტკიცებს ყველაფერს, რაც ტიანცზინის სანიტარულ მდგომარეობაზედ ცუდი ისმოდა და ასახელებს ყველა იმ უფროსებს, რომელთაც თავის დროზე არ მიიღეს საჭირო სანიტარული ზომები. საერთაშორისო პოლიტიკის მიზეზების გამო, ამ დეპეშის გამოქვეყნება შეუძლებელია, როგორც ეს სამხედრო მინისტრმა კატეგორიულად გამოაცხადა.

∝ როგორც შანხაიდან იტყობინებიან, ლიხუნჩანგმა ორშაბათს, 24 ივლისს, ოფიციალურად შეატყობინა კონსულებს, რომ პარასკევს ელჩები გამოვიდნენ პეკინიდან და ეხლა ტიანცზინის გზაზე იმყოფებიან. იმპერატორის ბრძანება, რომლითაც იუნგ-ლუ, ჩინეთის ჯარების ყოფილი მთავარსარდალი, დაინიშნა იმ ჯარის უფროსად, რომელმაც ელჩები უნდა დაიცვას მოგზაურობის დროს, გამოიცა ლიუ-კუნის და ლიხუნჩანგის მეოხებით. შანხაის კონსულებს არ სჯერათ ლიხუნჩანგის სიტყვები. მათ მოუვიდათ საიმედო ცნობები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ამ ბრძანების გამოქვეყნებისათანავე რეაქციონულმა პარტიამ, რომელსაც ლიპიხენი და კანგი ხელმძღვანელობენ, ყოველი ღონე იღონა, რათა ხელი შეეშალა ელჩების ხსნისათვის. ეხლა შეუძლებელია შეიტანონ საელჩოებში საჭირო სურსათი; სხვა ზომებიც იყო მიღებული, რომ ელჩები პეკინიდან ვერ გავიდნენ და თუ გავიდნენ, გენერალ ტუნგფუ-სიანგს ნაბრძანები აქვს გააჩერონ გზაზედ ელჩები და მათი მცველი რაზმი.

∝ კონტინენტის პოლიტიკურ წრეებში არსებობს რწმენა, რომ, როგორც კი შეერთებული ჯარები შევლენ პეკინში, ინგლისი შესწყვეტს სხვა სახელმწიფოებთან ერთად მოქმედებას და მთელ თავის ძალას იანცეკიანგის ჰალაში მოუყრის თავს. პარიზში მყოფ ინგლისის ელჩს თითქმის პირდაპირ გამოუთქვამს ეს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დელკასესათვის. დანარჩენი სახელმწიფოები, განსაკუთრებით რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია, როგორც იმედი აქვთ, ისევ თანხმობით იმოქმედებენ.

ახალი ამბავი

✦ აგრონომ ტარატინოვს წარუდგენია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის მოხსენება **საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ**. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ საქონლის ჭირი ამ ბოლოს დროს მაინც ისე გავრცლებულა, რომ კავკასიის აქეთა მხარეს უსაქონლოდ დატოვებას უქადის. საჭიროა რადიკალური ღონის-ძიების მიღება; ამგვარი რადიკალური ღონისძიება, ავტორის აზრით, ერთადერთია—ეს არის აცრა. აქამდე აცრა უცდიათ სოფელ იკნევში (გორის მაზრა), სოფ. ყარაიაზში და ვასილიევკაში და კარგი შედეგიც მოჰყოლია. აცრილ საქონელს ერთს არ დამართნია თურმე ჭირი. ტფილისის გუბერნიის ზეითალს ბ-ნ მაკაროვს მიანდეს დაება გამოსაცდელად აცრილი საქონელი ჭირიანებთან ერთად; გამოცდამ მშვენივრად ჩაიარა: ყველა აცრილი საქონელი კარგად იყო. ბ-ნ ტარატინოვის აზრით, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მოვალეობაა იზრუნოს, რათა კავკასიაში გავრცელდეს საქონლის აცრა და ამით მოსალოდნელი დიდი უბედურება აიშოროს ამ მხარეს.

✦ სოფ. მარტყოფიდან (ტფილისის მაზრა) იწერებიან: „ვენახებსა და ბაღებს აქეთ დიდი ადგილი უჭირავს და მით უფრო სამწუხაროა, რომ წელს მათი მდგომარეობა სანუგეშოს ცოტას წარმოადგენს. ღრუბლიანმა დღეებმა და ხშირმა წვიმებმა თავისი ქნეს. ვაზს, მართალია, კარგად ასხია, მაგრამ საეჭვოა, რომ ყურძენი დამწიფდეს. ხეხილს ხომ სრულებით არ ასხია.

პურის მოსავალი წელს ძალიან კარგია; მკა კიდეც გაითავეს და კალოებზე ძნის გორები დგას, მაგრამ იმავე ცუდმა ამინდმა ლამის არის შესამჩნევად შეამციროს მოსალოდნელი პურის გამოსავალი; არ იქნა და ვერ იშოვა გლეხმა ისეთი მზიანი დღე, რომ მას გალეწა შესძლებოდეს—სულ ღრუბლიანი და წვიმიანი დღეებია.

საქონლის ჭირის გამო სოფლები შეკრულია, მისვლა-მოსვლა გაჭირდა, და ეს გარემოებაც მეტად ავიწროებს აქეთა მხარის გლეხობას“.

✦ სოფ. ახალქალაქიდან (გორის მაზრა) იწერებიან: „ახალქალაქის და მეზობელ სოფლების მცხოვრებლები მეტად შეწუხებულნი არიან **ვენახების ცუდი მდგომარეობის** გამო. ეს რამდენიმე წელიწადია, ვაზის შემოსავალი საჭირო ხარჯსაც კი არ ფარავდა. წელს ხალხი სიხარულით შესცქეროდა თავის ვენახებს, რადგანაც მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანდა, მაგრამ სიხარული მალე მწუხარებად შეიცვალა: ჯერ ძლიერმა ქარებმა დააზარალეს ვაზი, ეხლა თვით ყურძენს გაუჩნდა რაღაც: მარცვალი შავდება, ხმება და ძირს ცვივა, ასე რომ წელსაც აღარ იქნება ადგილობრივი ღვინო“.

✦ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, **აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე** პეტერბურგში მიიღებიან ის სემინარიელები, რომელთაც სემინარია პირველი რიგის მოწმობით გაუთავებიათ. მხოლოდ ამ ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე ვერ გადავლენ.

✦ განჯისა და ერევნის გუბერნიაში ბამბას თითქმის ყველგან **„ჟანგი“ გასჩენია**. ამ სენის წინააღმდეგ აქამდე არ არსებობს ნამდვილი წამალი.

✦ ერთ ამერიკელს, იოსებ დეტიტს, შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე, რათა მას ნება მიეცეს **მექანიური ეტლების** მოწყობის საზოგადოების დაარსებისა. ამ მექანიურმა ეტლებმა უნდა იარონ ბაქოსა და ნავთის წარმოების ადგილებს შუა.

✦ ქალაქის გამგეობის გუშინწინდელ სხდომაზე, სხვათა შორის, იხილებოდა კითხვა შესახებ **წყლის მილის გაყვანისა ორხევამდე** იქ დაბანაკებულ ჯარების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. გამგეობამ დაადგინა—ეთხოვოს ოლქის შტაბს, რათა მან გადმოსცეს გამგეობას სამხედრო უწყებისაგან შედგენილი წყლის მილის პროექტი.

✦ **ელექტრონის საზოგადოების „უნიონის“** წარმომადგენელმა დაგზავნა ქალაქში დაბეჭდილი განცხადებები, სადაც სწერია, რომ იგი აშენებს თავად-აზნაურობის ქარვასლაში ელექტრონის სადგურს, საიდანაც მას შეეძლება გარდასცეს ელექტრონის ენერგია ყოველგვარ საჭიროებისათვის ყველა იმ სახლებს, რომელნიც სასახლის, სოლოლაკის, ფრეილინის და ლაბორატორის ქუჩებზე მდებარეობენ. ამიტომ იგი სთხოვს მსურველთ, მოურიგდნენ მას, ფირმის წარმომადგენელს. ერთ სახლის მეპატრონეთაგანს წარუდგენია ეს განცხადება ქალაქის გამგეობისათვის, რომელსაც გუშინწინვე, სამშაბათს, დაუდგენია, შეატყობინოს ეს გარემოება ტფილისის გუბერნატორს თანამდების აღმასრულებელს მოხსენებით, რომ ქალაქის ქუჩები მხოლოდ ქალაქის გამგეობის განკარგულებაშია და თან ეთხოვოს, რომ მიღებულ იქმნას ღონისძიება ქალაქის მკვიდრთა მოტყუილებისაგან დახსნისათვის.

მარგანეცის მწარმოებელთა კრება

II *)

27 ივლისის სხდომა მოხდა სადამოს. ზოგიერთი წევრი დაეკითხა თავმჯდომარეს, რატომ დილისაც არ ინიშნება სხდომაო; ამაზედ სამთო ინჟინერმა ცეიტლინმა განაცხადა, რომ კრების მიერ არჩეული მდივანი სუგურლაძე ვერ ასწრებს ოქმების დამზადებასაო. ამის მიზეზით, კრება დიდხანს გასტანს. დღევანდელ სხდომაზე განხილულ და გადაწყვეტილ იქმნა მხოლოდ სამი საგანი.

თავდაპირველად გადაწყდა სტიპენდიების დანიშვნის საქმე, რომელიც გაარჩია წინა დღეს. კრებამ ამასთანავე დაადგინა 800 მან. შემწეობა მიეცეს ფრეიბურგის სამთო აკადემიის სტუდენტს ფაჟავას.

შემდეგ კრებას მოხსენდა ჭიათურის ქსენონის შესახებ. ეს ქსენონი დაარსებული იყო მარგანეცის მწარმოებელთა ხარჯით და დღემდის საგუბერნიო ადმინისტრაციის ხელში იყო. ეხლა მას ფაქტიურად განაგებს საბჭო და საჭიროა კანონიერადაც გადაეცეს კრებას. თავის მოხსენებაში საბჭო იმ აზრისაა, რომ ქსენონი მუდმივ საავადმყოფოდ გადაკეთდეს, რისთვისაც საჭირო იქნება 80 ათას-მანეთამდეო. მცირეოდენ კამათის შემდეგ დადგინდა: კანონიერის წესით ჩაბარებულ იქმნას ქსენონი კრებისათვის და გადაკეთებულ იქმნას საავადმყოფოდ 60 საწოლით.

კრებას წარუდგინა მოხსენება კრების საჭიროებისათვის ადგილ-მამულის ყიდვის შესახებ. სახელდობრ, საჭირო იქნება შენობების აგება სამკურნალოსა, აბანოთა და მომრიგებელ სასამართლოსათვისაო და ამიტომ საჭიროა ადგილების შეძენაო. ამ საგნის შესახებ კამათის დროს ბ. ფირცხალავამ აღძრა კითხვა საბჭოს მუდმივი ბინის ქუთაისიდან ჭიათურაში გადატანის შესახებ. რადგანაც ეს კითხვა არ იყო პროგრამაში ჩანიშნული. ამიტომ კრების ზოგიერთმა წევრმა განაცხადა—დეპეშით ვთხოვოთ მინისტრსაო, რომ მოგვცეს ნება ამ საგნის შესახებ სჯა ვიქონიოთ ამავე კრებაზედაო. კრებამ 139 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5-სა გარდასწყვიტა გაეგზავნოს მინისტრს აღნიშნული დეპეშა. ამასთანავე მინისტრს ეთხოვა იმავე დეპეშით, რომ ნება მიეცეს კრებას იქონიოს მსჯელობა: 1) თანახმად გ. ფ. ზდანოვიჩის წინადადებისა—სამთო ზედამხედველთა პრაქტიკულ კურსების დაარსების შესახებ და 2) თანახმად გ. დ. ბაქრაძის წინადადებისა—მარგანეცის მწარმოებელთათვის წვრილ კრედიტის ორგანიზაციის შესახებ.

იმავე სხდომაზე გადაწყვეტილ იქმნა საქმე ჭიათურაში მომრიგებელ სასამართლოს დაარსების შესახებ. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა აღძრულ იქმნას სადაც ჯერ არს ამის შესახებ შუამდგომლობა.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1199.

საღამოს დეპეშები

2 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება: „წითელის ჯვრის საშუალებათა გასაძლიერებლად საჭიროდ იქმნა ცნობილი საზღვარ გარეთ გასასვლელ პასპორტზედ გარდასახადს 10 მანეთს დროებით მოემატოს კიდევ ხუთი მანეთი ყოველ ნახევარ წელში რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ.“

გამოცხადდა მთავრობის განკარგულება, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ რუსეთის მთავრობა თანახმაა გერმანიის ფელდმარშალის გრაფი ვალდერზეეს ჩინეთში მყოფ ევროპიელ ჯარების მთავარ სარდლად დანიშვნაზედ.

მთავრობის განცხადება თავდება შემდეგი სიტყვებით: „ამასთანავე მხედველობაში უნდა ჰქონდეს ყველას, რომ ასეთი თანხმობის გამოცხადებით, რომლის ძალით რუსეთის ჯარი ჩინეთში უნდა დაემორჩილდეს გერმანიის ფელდ მარშალს, მათ უდიდებულესობათ ზარადაც არა ჰქონია შესცვალოს გეგმა იმ პოლიტიკური მოქმედებისა, რომლის დედა აზრის თანახმად მოხდა შეთანხმება როგორც საფრანგეთთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან. რუსეთს ამოქმედებს არა ანგარების მოყვარება, არამედ სურვილი მშვიდობიანობის აღდგენისა და ჩინეთთან კეთილ განწყობილების დამყარებისა. ამასთანავე მტკიცედ სწამს რუსეთს თავისი წარსული ცხოვრების ისტორიული მიმდინარეობა და თუ ჩინეთში მომხდარი არეულობა მოითხოვს მისგან უფრო მეტს საომარ მომზადებას, იგი შეუცვლელად მიმდევარი იქნება იმ კაცთ-მოყვარეობისა, რომელიც ძველთაგანვე ყოველ ჟამს შეადგენდა დიდებას და სიამაყეს რუსეთის მხედრობისას.

ლონდონი. რობერტსი იუწყება დეპეშით პრეტორიიდან, 31 ივლისის რიცხვით, რომ მეტუენი და კიტჩენერი აქამდე უნდებიან

დ ევეტის დევნას. კიტჩენერი იწერება დეპეშას, 1 აგვისტოს რიცხვით სპოლპლატსიდან, რომელიც მდებარეობს რვა მილზე აღმოსავლეთით გენდერსდორფიდან, რომ წარსულ ღამეს დევეტმა ააფეთქა სამი ფურგუნი. სამოცი ტყვე ინგლისელი და ერთი აფიცერი, რომელნიც გამოიქცნენ იმის ბანაკიდან, ამბობენ, რომ შტეინს წართმეული აქვს ნება ბანაკიდან გამოსვლისა და იმყოფება მხედვების ქვეშ. დევეტი იძულებული იყო დაეყარა ნაწილი თავის საომარა სურსათისა და 30 სრულებით ღონე გამოლეული ცხენი. ტყვეები ჰმოწმობენ იმ ამბავს, რომ მეტუენმა ერთი ზარბაზანი წაართვა დევეთსაო. გუშინ მარჯვე სროლა აუტეხეს მტრის უმთავრეს ძალას. ბულერის გალაშქრებამ ჩრდილოეთისაკენ მოიტანა მშვენიერი ნაყოფი; ფელდკორნეტი 182 ჯარის-კაცითურთ სტანდერტონის რაზმიდან დაგვნებდნენ.

სტამბოლი. ინგლისის ვიცე-კონსული ვანში იტყობინება, რომ ვილაიეტში მოგზაურობის დროს, მას დაეცნენ შეიარაღებული ქურთები, რომელთაც დაუჭრეს დრაგომანი და მოსტაცეს ბარგი. როდესაც კონსულმა შეატყობინა ამბავი მთავრობას, მაშინ გაგზავნეს ჯარი ქურთების დასაჭერად. ინგლისის კონსულმა მოსთხოვა პორტას დამნაშავეთა დასჯა და აგრეთვე წართმეული ბარგის დაბრუნება.

პეტერბურგის ბირჟა 1 აგვისტოს

	მყიდველ.	გაყიდვ. ვაჭრობ.	გამყიდველ.
	მ ა	ნ ე	თ ი
4% სახელმწიფო რენტა. . . .	97	—	—
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	—	99
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	—	97¾	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ..	317¾	—	—
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ..	—	—	269
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	—	209
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. .	—	89	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ..	98	—	—
4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა	—	86	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . .	—	101½	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა...	—	98½	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . .	—	98	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა . . .	—	—	85⅞

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

ხორცი ძროხისა .	1	გ.	8½ კ.
სუკი	»	—	15 კ.
» ცხვრისა . . .	»	—	8½ კ.
» ღორისა . . .	1	—	8 კ.
» კამეჩისა » »	»	—	8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი .	1	»	—10 კ.

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ჯვარი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა	I	ხარ.	1	გ.	5 კ.
» »	II	»	»	»	3½ »
» »	III	»	»	»	3 »
იგივე თონისა	I	»	»	»	5 »
» »	II	»	»	»	4 »
» »	III	»	»	»	3½ »
ლავაში ჯვ. მამ.	I	»	»	»	6 «
» »	II	»	»	»	4 «

ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ხორბალი საუკ. ფუთი.		კოკზალზე,	
	მ. კ.	მ. კ.,	
	1	1	30 1 20
ხორ. წითელი. . . .	1	1	15 —
ქერი	1	1	1—5—
სიმინდი	1	—	80——
ფქვილი სოფლისა.	1	1	20——
» უფრო მდარე.	1	1	10——
კომბოსტო. . . .	1	—	30——
კარტოფილი. . . .	1	—	65——
ხახვი	1	—	10——
თივა	1	—	25——
ბზე.	1	—	28——

შავი რეხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შავი ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაშეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

ხარისხი.		ხარისხი.	
№ 0—9 მ. 25 კ.		№ 4—7 » 25 »	
№ 1—8 » 50 »		№ 5—7 » — »	
№ 2—8 » — »		№ 6—6 » 75 »	
№ 3—7 » 50 »		№ 7—6 » 25 »	

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 69 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა, კასპიის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, გორონცოვის ქუჩა, სახლი ილიგაროვისა. ექიმი ტერასტუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის. უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენისა და კაუზოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

სწრაფი მატარებელი № 1 ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

სწრაფი მატარებელი № 2 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დილით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში. პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Августа 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბის. განქის დიდი ქუჩა, № 27.